KA015522315822016

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში მდებარე სსიპ - იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის, 84,8 კვ.მ. ფართის აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

№279/ს **04 / მაისი / 2016 წ.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების“, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის N85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-9 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის, სსიპ - იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 03 მაისის „სსიპ - იუსტიციის სახლში პროექტის - „JUSTtaxi““ განხორციელების შესახებ N271/ს ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 25 აპრილის №2764 და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 27 აპრილის №5/21109 წერილების, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 1 სექტემბრის №78828 დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. პროექტის - „JUSTtaxi” ფარლებში, სსიპ - იუსტიციის სახლის (შემდგომში - იუსტიციის სახლი) მომხმარებელთა ტაქსით მომსახურების (შემდგომში - ტაქსით მომსახურება) უზრუნველსაყოფად ტაქსების სადგომის მოწყობის მიზნით, განხორციელდეს იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.18.03.003.024), კერძოდ 84,8 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემა (ბრძანებაზე თანდართული მონიშნული ნახაზის შესაბამისად - დანართი №1), ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით.
2. საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 100 (ასი) ლარით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 12 000 (თორმეტი ათასი) ლარით, რომლის მოქმედების ვადაც 7 დღით უნდა აღემატებოდეს ქონების სარგებლობაში გაცემის ვადას.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2016 წლის 04 მაისს და გაგრძელდეს 7 (შვიდი) დღის ვადით.

5. უძრავი ქონების იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემისთვის დადგინდეს შემდეგი პირობები:
ა) იჯარის საგანი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მოიჯარემ მოუაროს მას და მკაცრად დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები; მეიჯარის თანხმობის გარეშე არ განახორციელოს სხვა საქმიანობა, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულისა;
ბ) პროექტის - „JUSTtaxi" ფარგლებში, ტაქსით მომსახურების განსახორციელებლად მოიჯარის მიერ გამოყოფილ იქნეს მინიმუმ 15 ავტომობილი (პროექტის დაწყებიდან არაუმეტეს 1 წელში, გამოყოფილი ავტომობილების რაოდენობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 20 ერთეულს. დამატებული ავტომობილები უნდა იყოს არსებული ავტომობილების ანალოგიური), რომელთა სამუშაო საათები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, განისაზღვროს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირას კი 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე; მოიჯარის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს, იჯარით გადასაცემ ქონებაზე მოწყობილ ტაქსის სადგომზე, სამუშაო საათების განმავლობაში (გარდა შაბათ-კვირისა) მუდმივად, არანაკლებ 5 ავტომობილის, ხოლო შაბათ-კვირას 2 ავტომობილის მოლოდინის რეჟიმში ყოფნა;
გ) სამუშაო საათების დასრულების შემდგომ ავტომობილებს, რომლებიც პროექტის - „JUSTtaxi" ფარგლებში ახორციელებენ ტაქსით მომსახურებას მიეცეთ თავისუფლად გადაადგილებისა და ნებისმიერი მგზავრის ტრანსპორტირების უფლება;
დ) მოიჯარე უფლებამოსილია პროექტის - „JUSTtaxi" ავტომობილები განათავსოს იუსტიციის სახლის ავტოსადგომის ტერიტორიაზე (როგორც სამუშაო საათების განმავლობაში, აგრეთვე სამუშაო საათების დასრულების შემდგომ, მომდევნო დღის სამუშაო საათების დაწყებამდე);
ე) პროექტის - „JUSTtaxi" ავტომობილებს, ეკრძალებათ სამუშაო საათებში იუსტიციის სახლის ავტოსადგომისა და იჯარით გადაცემული ტერიტორიის გარდა, სხვა ნებისმიერ ავტოსადგომზე დგომა;
ვ) პროექტის - „JUSTtaxi" ფარგლებში ტაქსით მომსახურების გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მოიჯარის მიერ გამოყოფილ იქნეს ერთი პირი (დისპეჩერი), რომელიც უზრუნველყოფს იუსტიციის სახლის ტაქსის სადგომზე ავტომანქანების გადანაწილების პროცესის ორგანიზებას; მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს დისპეჩერი შესაბამისი საოფისე ტექნიკითა და სამუშაო/საკანცელარიო ნივთებით, იუსტიციის სახლის მიერ მისთვის გამოყოფილ სამუშაო ადგილზე;
ზ) ტაქსით მომსახურების ღირებულების გამოთვლა განხორციელებულ იქნეს ტაქსში არსებული მრიცხველის ან სხვა ტექნიკური აღჭურვილობის საშუალებით; სერვისის საფასურის გადახდა შესაძლებელი უნდა იყოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით (ავტომობილები აღჭურვილ უნდა იქნეს უნაღდო ანგარიშსწორებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით);
თ) ტაქსით მომსახურების ტარიფის ათვლა განხორციელდეს მომხმარებლის ტრანსპორტირების დაწყების მომენტიდან (აღნიშნული წესი არ გავრცელდეს სამუშაო საათების შემდეგ გასაწევ მომსახურებაზე) და დაანგარიშდეს შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:
თ.ა) მინიმალური გადასახდელი თანხა - 2.00 ლარი (4კმ-ის ჩათვლით);
თ.ბ) 4 კმ-ზე მეტი მანძილის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი კილომეტრის ღირებულება არაუმეტეს 0.50 თეთრი.
ი) პროექტის - „JUSTtaxi" ავტომობილები უნდა იყოს, არაუმეტეს ორი სხვადასხვა მოდელის, თეთრი ფერის, წარმოებული არაუადრეს 2014 წელს და აღჭურვილი: უსაფრთხოების ბალიშებით, ელექტრო შუშებით, გათბობა-გაგრილების სისტემით და GPS ტექნიკით. მოიჯარის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ავტომობილების გამართულად ფუნქციონირება;
კ) მოიჯარე ვალდებულია პროექტის - „JUSTtaxi" ფარგლებში ტაქსით მომსახურების გასაწევად არ დაუშვას ის ავტომობილები, რომლებსაც გააჩნიათ დაზიანებები კორპუსზე ან/და სალონში. დაზიანების შემთხვევაში ავტომობილი დაუყოვნებლივ დაექვემდებაროს შეკეთებას;
ლ) პროექტის - „JUSTtaxi" ავტომობილებზე უნდა განთავსდეს იუსტიციის სახლთან შეთანხმებული დიზაინის მქონე პროექტის - „JUSTtaxi" ლოგო, მეიჯარის ლოგო, მისი დასახელება, ვებ გვერდის მისამართი, ტაქსის ნიშანი და ბორტის ნომერი; სხვა რაიმე სახის ინფორმაციის ან რეკლამის განთავსება ავტომობილებზე დაუშვებელია მხარეთა შეთანხმების გარეშე;
მ) ავტომობილებში განთავსებულ იქნეს მოწევის ამკრძალავი ნიშანი. ავტომობილებში მოწევა აკრძალულ იქნეს როგორც მგზავრთათვის, ისე მძღოლისათვის; მოიჯარის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს ავტომობილების შიდა და გარე სისუფთავის დაცვა;
ნ) ავტომობილებში, მომხმარებლისთვის შესამჩნევ ადგილზე, განთავსებულ იქნეს მძღოლის სურათი, სახელი და გვარი, ბორტის ნომერი; სავალდებულოა ავტომობილის სალონის წინა ნაწილში მომხმარებელთათვის განთავსებულ იქნეს იუსტიციის სახლის ცხელი ხაზის ნომერი, მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხის დასაფიქსირებლად;

ო) მომხმარებელთა გადაადგილებისას, ავტომობილის გაუმართაობით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გამოწვეული შეფერხებისას, მოიჯარის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს მგზავრის ოპერატიული ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილზე (ტაქსით მომსახურების განმახორციელებელი ან სხვა ავტომობილის საშუალებით);

პ) მოიჯარის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს ტაქსში დაკარგული ნივთის მესაკუთრისათვის უკან დაბრუნება ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სამართალდამცავი ან სხვა ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემა;

ჟ) მძღოლები, რომლებიც პროექტის - „JUSTtaxi" ფარგლებში ახორციელებენ ტაქსით მომსახურებას, ავტომობილის მართვის მოწმობას უნდა ფლობდნენ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

რ) პროექტის - „JUSTtaxi" ფარგლებში მომხმარებელთა ტაქსით მომსახურების სტანდარტი განისაზღვროს ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად (მძღოლები ვალდებულნი არიან დაიცვან აღნიშნული სტანდარტი ტაქსით მომსახურების განხორციელებისას, როგორც სამუშაო ასევე არასამუშაო საათების განმავლობაში);

ს) სსიპ - იუსტიციის სახლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს მოიჯარის პერსონალის (მძღოლები, დისპეჩერი) შეცვლა;

ტ) საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში;

უ) მოიჯარის მიერ, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის - „JUSTtaxi" ფარგლებში ტაქსით მომსახურების დაწყება.

6. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების პროექტი დანართი №3-ის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში, მოიჯარეს წარმოეშობა ვალდებულება გამოათავისუფლოს საიჯარო ქონება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) არ ანაზღაურდება.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გივი აზაურაშვილი